პროლეტარეტებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

20 ოქტომბერი პარასკევი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 247 (15460)

ოქტომბერს — ღირსეული შეხვედრა!

მრეწველობის მუშაკებო! გაზარდეთ საცხალხო მოხმარების საქონლის წარმოება და გაანაცხლეთ მისი ასორტიმენტი, გააუმჯობესეთ ხარისხი და შეამცირეთ თვითღირებულება!

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან).

ᲙᲝᲛᲔᲥᲐᲕᲨᲘᲠᲘᲔᲚᲘ. თინა მდინარაშვილი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა თბილისის წინდის ფაბრიკა „კრწანისში“, კარგად დაეუფლა მჭსოგელის პროფესიას და ამჟამად ცვლის დავალებებს 120-125 პროცენტით ასრულებს. ახალგაზრდა მუშა 25 ავტომატურ მრგვალდასოსკო მანქანას ემსახურება. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე თინა მდინარაშვილმა ვალდებულება იკისრა მბოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქცია გამოუშვას, წლიური დავალება 25 დეკემბრისათვის შეასრულოს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲜ: თინა მდინარაშვილი.

ვ. მირბუნრმის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲖᲦᲕᲐᲣᲠᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲛᲙᲐᲡᲘᲘᲡ რკინიგზის, საქართველოს ხაზღვაო ხანაოსნობის, ბათუმისა და ფოთის საზღვაო ნავსადგურების შრომელებმა, რომლებიც ცდილობენ ახალი საწარმო საჩუქარი მოუმზადონ ქვეყანას სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად და თავალსაჩინებენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გემებითა და რკინიგზის ვაგონებით მარცვლეულისა და სხვა სახალხო-სამეურნეო ტვირთის დროულ და ხარისხოვან გადაზიდვას, გადაწყვიტეს კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ დარგთშორისი სოციალისტური შეჯიბრება და იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი.

შეჯიბრების მთავარი მიზანია შეუფერხებლად, დროულად დააკმაყოფილონ მოთხოვნილება ტვირთზიდვაზე. წლის დამლევამდე გადაწყვეტილია გემების გადამეტებით გაგზავნონ ათასობით ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი და ტვირთბრუნვის მთელი მატება ითვალონ შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და რკინიგზის ვაგონების და ხომალდების გამოყენების გაუმჯობესების გზით.

დარგთშორისი შეჯიბრების მონაწილენი ახორციელებენ ლენინსძიებებს, რათა განამტკიცონ ურთიერთდახმარება ფოლადის გზებისა და საზღვაო ხანაოსნის მშრომელთა მოკმედებაში. ხანაოსნო, მაგალითად, დახმარებას გაუწევს რკინიგზელებს ტვირთის შენახვასა და გადამუშავებაში. ამის შედეგად გაიზრდება ტვირთზიდვა: ვაგონებიდან გემებში გადატვირთავენ მთელი ტვირთის 70 პროცენტს, ხოლო ნავსადგურში დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოებზე დასაქმებული მუშების და რკინიგზელების შრომის ნაყოფიერება ბათუმისა და ფოთის სადგურებში ვაგონების მიწოდებასა და დალაგებაში 5-6 პროცენტით გაიზრდება დაპირებულთან შედარებით და სხვ.

ამიერკავკასიის მაგისტრალის რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირისა და საზღვაო ფლოტის პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმების გაერთიანებულმა სხდომამ მოიწონა ეს ინიციატივა და ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის რაიონის, რკინიგზელთა პროფკავშირის რაიონულ საგზაო კომიტეტს, ბათუმისა და ფოთის საზღვაო ნავსადგურების პროფკავშირის კომიტეტს დაავალა სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად განახორციელონ ამ მნიშვნელოვანი თაოსნობის ფართოდ გავრცელების ღონისძიებანი. (საქინფორმი).

ᲒᲔᲒᲛᲐ — 25 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ საწარმოო გაერთიანების მუშა-მოსამსახურეთა შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება 1972 წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. მიმდინარე წლის 9 თვეში რეალიზებულია 49.459 ათასი მანეთის პროდუქცია ნაცვლად 48.815 ათასი მანეთისა, გეგმა შესრულებულია 101,3 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეადგენს 11,2 პროცენტს. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა კი შესრულებულია 102 პროცენტით.

დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს ძავსაღები წარმოების (უფროსი ბ. ბენინე) ფეიქრებმა, რომლებმაც საშობოლოს გეგმის გადაჭარბებით მისცეს 1.257 კილოგრამი ხამი ძაფი. საქსოვი წარმოების (უფროსი გ. ვასაძე) ფეიქრებმა 9 თვეში გეგმის ზევით გამოუშვეს 208 ათასი მეტრი ხამი ქსოვილი, ხოლო კულაშის საქსოვი ფაბრიკის (დირექტორი უ. კვლეკაძე) ფეიქრებმა — 37 ათასი მეტრი.

გადაწყვეტილი გვაქვს წლიური დავალება 25 დეკემბრისათვის შეასრულოთ და გეგმის გადამეტებით გამოუშვათ ერთი მილიონი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი.

მ. თევნიეშვილი.

ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების დირექტორი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲘᲚᲘᲐᲡ-ᲫᲔ ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ

ᲩᲕᲔᲜ, სსრ კავშირში სოციალისტურ გარდაქმნათა გამოცდილების შეხვალისადმი მიძღვნილი ტაშკენტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილენი, მხურვალედ მოგესალმებით თქვენ, პატივცემულო ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევ, და გულითად მადლობას მოგახსენებთ ამისათვის, რომ ასეთი გულთბილი მისასალმებელი წერილი გამოგვიგზავნეთ და წარმატებული მუშაობა უსურვეთ ჩვენს კონფერენციას. ამ მისალმებამ გაზარდა ჩვენი კონფერენციის მნიშვნელობა, გაამდიდრა მისი შინაარსი.

ჩვენ, მსოფლიოს 51 ქვეყნის მეცნიერები, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, გულწრფელად ვუსურვებთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობას, მთელ გმირ საბჭოთა ხალხს მომავალ ნათელ და სახიერებულ დღეებსწაულს — ისტორიაში პირველი ოქტომბერელ ხალხთა ნებაყოფლობითი გაერთიანების შედეგად შექმნილი მრავალეროვანი სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

საბჭოთა კავშირის შექმნამ საშუალება მისცა მის ხალხებს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოკლე ისტორიულ ვადაში აეშენებინათ განვითარებული სოციალისტური საზოგადოება. საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად ღიდი წარმატებანი მოიპოვეს საბჭოთა აღმოსავლეთის რესპუბლიკებმა.

საბჭოთა აღმოსავლეთის რესპუბლიკების მაგალითმა თვალნათლით გვიჩვენა, რომ სოციალიზმი მთლიანად ხპობს ეროვნულ ჩაგვრას, უუფლებობასა და სიღატაკეს, უზრუნველყოფს ყველა ხალხთათვის ყოველმხრივ განვითარებას, ბედნიერებასა და აყვავებას. საბჭოთა აღმოსავლეთის რესპუბლიკების არაკაპიტალისტური განვითარების გამოცდილებას ახლა ფართოდ იყენებენ ხალხები, რომლებიც განთავისუფლდნენ კოლონიური დამოკიდებულებისაგან და ეხმაურვიან ეკონომიურ და სოციალურ პროგრესს.

ჩვენ დიდად ვაფასებთ თანმიმდევრულ ანტიიმპერიალისტურ და ინტერნაციონალისტურ კურსს, რომელსაც სსრ კავშირი ადგას საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობის, უშიშროებისა და ხალხთა მეგობრობის საკეთილდღეოდ, აგრეთვე იმას, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ უჭერს მხარს ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის, არაბული ქვეყნების ხალხებს — აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ყველა ხალხს იმპერიალისტური აგრესიის, კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ძმური დახმარება და ყოველმხრივი მხარდაჭერა ქმნიან პირობებს, რომლებიც საშუალებას აძლევენ განთავისუფლებულ ხალხებს წარმატებით გადაწყვიტონ ეკონომიური და კულტურული განვითარების საჭირბოროტო პრობლემები თავიანთ საკეთილდღეოდ.

გისურვებთ, პატივცემულო ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევ, ჯანმრთელობას, დიდ წარმატებებს თქვენს მუშაობაში პროგრესულთა კეთილმობის საკეთილდღეოდ.

ვუსურვებთ საბჭოთა ხალხს ახალ წარმატებებს კომუნისტური შეზნებლობის გრანდიოზული გეგმების განხორციელებაში.

„სსრ კავშირში სოციალისტურ გარდაქმნათა გამოცდილებისა და მისი საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხებზე“ საერთაშორისო კონფერენციის მონაწილენი.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲨᲘ

ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘ, 18 ოქტომბერი. (საკდისის სპეც. კორ.). უზბეკეთის დედაქალაქში მუშაობას გაანძრევს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ეძღვნება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს. უცხოელი და საბჭოთა მეცნიერნი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწენი თავიანთ გამოსვლებში ერთსულოვნად აღნიშნავენ სსრ კავშირში სოციალისტური გარდაქმნების გამოცდილების უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობას.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. ჟ. სოლოდოვნიკოვმა თავისი მოხსენება მიუძღვნა აზიისა და აფრიკაში არაკაპიტალისტური განვითარების თანამედროვე ეტაპს. მან აღნიშნა, რომ არაკაპიტალისტური განვითარების ლენინური თეორია ახლა ხდება მილიონობით ადამიანის ცოცხალი საქმე განთავისუფლებულ ქვეყნებში, რომლებიც უარყოფენ კაპიტალიზმს, როგორც სოციალურ-ეკონომიურ საფუძველს, თავიანთ ძალ-ღონეს ამბარენ სოციალისტური საზოგადოების აშენებას. არაკაპიტალისტური განვითარების თანამედროვე ეტაპს ახასიათებს ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობის ტენდენციების გაძლიერება. ივი გამოიხატება ეროვნული პროგრესული ფრონტების შექმნით არაკაპიტალისტური განვითარების ქვეყნებში, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებში, რომლებიც მტკიცედ იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ინდოეთის პარლამენტის წევრმა, პროფესორმა ბირ ბაჰადურ სინგჰმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის განვითარება 50 წლის მანძილზე იმ რევოლუციური პროცესის განუყოფელი ნაწილია, რომელიც წელს უწყობს ახალი ინდოეთის ქმნადობას. საბჭოთა კავშირის ყველა მიღწევა ეკონომიური განვითარების დარგში, თქვა მან, — ეს არის გამოცდილება როგორ შეიძლება გამოადგეს ყველას, ვინც დაადგა სოციალიზმის მშენებლობის გზას. საბჭოთა ეკონომიური გარდაქმნები იყო პირველი ექსპერიმენტი კაცობრიობის ისტორიაში. ამიტომ საბჭოთა კავშირის წარმატებებს დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. ორატორმა დაწვრილებით ილაპარაკა ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ნაყოფიერ თანამშრომლობაზე.

საბჭოთა კავშირის ხალხებს, კომუნისტურ პარტიასა და ქვეყნის ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას მხურვალედ მიესალმა და სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავი მიულოცა თავის გამოსვლაში ერაყის ბაასის პარტიის ხელმძღვანელობის წარმომადგენელმა ჰასან ალ-ამირიმ.

მსოფლიოს ხალხები ხედავენ, განაცხადა მან, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკა არ შეესაბამება მათს ინტერესებს. ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია შეაფერხოს ხალხთა პროგრესი და განმათავისუფლებელი მოძრაობა. აი რატომ უჭერს მხარს ამერიკის შეერთებული შტატები რეაქციულ და რასისტულ რეჟიმებს, აი რატომ შექმნა მან დაძაბულობის ოაზისი კერები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ახლო აღმოსავლეთში. ამავე დროს ყველა ხალხი ხედავს, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკა შეესაბამება ამ ხალხების ინტერესებს.

შემდეგ ორატორი შეეხო საბჭოთა და არაბი ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის საკითხებს. ეს ურთიერთობა, თქვა მან, შემოწმებულია გამოცდილებით. დროთა განმავლობაში მტკიცდება არაბების კეთილი გრძნობები საბჭოთა კავშირისადმი. ჰასან ალ-ამირიმ განაცხადა, რომ ერაყ-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადება დიდი წვლილია არაბეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობაში. ერაყის ხალხი და მისი მთავრობა მიესალმებიან ამ მეგობრობის ზრდა-განმტკიცებას.

შრომისა და იუსტიციის მინისტრმა, კონგოს შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ალექსანდრ დენგემ (კონგოს სახალხო რესპუბლიკა) თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის მაგალითით ბევრმა ქვეყანამ აირჩია თავისუფლების გზა. სსრ კავშირი მშრომელთა პირველი სახელმწიფოა. მისი პოლიტიკა დაკავშირებულია ახალი ადამიანის აღზრდასთან და ძმობასა და ადამიანის ღირსებაზე დამყარებული ახალი ტიპის ურთიერთობის დამკვიდრებასთან. საბჭოთა კავშირის არსებობა ხელს უწყობს ბრძოლას კომუნიზმის საქმისათვის, ინტერნაციონალიზმის აყვავებისათვის. კონგოს სახალხო რესპუბლიკა, რომელმაც გადაწყვიტა თავისი ხალხის ცხოვრებაში მოსპოს კოლონიალიზმის ყოველგვარი ნაშთები, დღენიადაგ სწავლობს საბჭოთის მდიდარ გამოცდილებას.

კონფერენციაზე გამოსული ორატორები აღნიშნავდნენ სოციალიზმის იდეების მზარდ მიმზიდველ ძალას. საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების სახით კოლონიალიზმისაგან განთავისუფლებული ქვეყნების და თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებს ჰყავთ გულწრფელი მეგობრები, რომლებიც წმიდად ასრულებენ ვ. ი. ლენინის ანდერძს — ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

კონფერენციაზე გაიმართა სექციების მორიგი სხდომები.

19 ოქტომბერს დილიდან საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი განაგრძობს მუშაობას.



ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲨᲘ

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲬᲔᲚᲡ — ᲐᲠᲪᲔᲠᲗᲘ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ

ᲐᲘ ᲠᲐᲡ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ კვარტალი დასრულდა. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა პროდუქციის რეალიზაციისა და საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულეს. მაგრამ ეს მაჩვენებლები გაცილებით უკეთესი იქნებოდა, დარგობრივი სამინისტროებისა და საკავშირო დაქვემდებარების მთელი რიგი საწარმოები რომ არ ჩამორჩებოდნენ.

სტატისტიკური სამმართველოს ცნობით, საერთოდ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების საერთო რაოდენობიდან პროდუქციის რეალიზაციის დავალება ვერ შეასრულა 177 საწარმომ და რეალიზაციის მოცულობას დააკლეს დიდძალი თანხა. აქედან მეტი წელი მოდის საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებზე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ სამინისტროებსა და უწყებებზე.

სამარცხვინოდ ჩამორჩენიან ადგილობრივი, საშენ მასალათა, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროების მთელი რიგი საწარმოები. რესპუბლიკის საერთო მაჩვენებელი განსაკუთრებით უკან დახევიეს საკავშირო დაქვემდებარებების საწარმოებმა. საერთო რაოდენობიდან ცხრა თვის გეგმა ვერ შეასრულა 41 საწარმომ.

გეგმას სხტემატურად ვერ ასრულებენ და ჩამორჩენან თავი ვერ დააღწიეს ახეთმა დიდმა საწარმოებმა, როგორიც არიან რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და რუსთავის ქიმიური კომბინატი, ხოხუმის გაზის აპარატების ექსპერიმენტალური, ფოთის ელექტროაპარატურის ქარხნები.

მაუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებიდან განსაკუთრებით ჩამორჩებიან გორის ბამბეულის კომბინატი, ქუთაისის ბამბის საქსოვი საწარმოო გაერთიანება, ხოხუმის სამკერვალო და სიღნაღის სამკერვალო ფაბრიკები. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებიდან — თბილისის კლავიშებიანი ინსტრუმენტების ფაბრიკა, თბილისის საგალანტერეო-სატრიკოტაჟო ფაბრიკა, დუშეთის, თელავის, ახმეტის, თიანეთის, მეხტიის რაიონმრეწველო კომბინატები, გუდაუთის მექანიკური ქარხანა. საერთოდ ამ სამინისტროს 29 საწარმომ ვერ შეასრულა გეგმა და საშობლოს დიდძალი პროდუქცია დააკლო.

ასევე ჩამორჩებიან საშენ მასალათა მრეწველობის ისეთი დიდი საწარმოები, როგორიც არიან რუსთავის ცემენტის ქარხანა, ქუთაისის, საგარეჯოს და სამტრედიის საშენ მასალათა ქარხნები, გურჯაანის აგურის ქარხანა. სულ ამ სამინისტროს 20 საწარმომ ვერ დააღწია ჩამორჩენას თავი.

ცხრა თვის შედეგები თითქმის შეჯამებულია. ახლა მთავარია სამინისტროებმა, საწარმოთა ხელმძღვანელებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა ღრმა ეკონომიური ანალიზი გაუკეთონ ჩამორჩენის მიზეზებს, დახახონ კონკრეტული ღონისძიებანი საიუბილეო წლის გეგმის უთუოდ შესრულებისათვის.

ᲛᲔᲢᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲡ

17 ოქტომბერს მოსკოვში, კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში დაიხურა მსუბუქი მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების VI ყრილობა.

მომხსენებელი — სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე ტკენიკის მეცნიერებათა დოქტორი ვ. ა. უსენკო და კამათში გამოსული დელეგატები აღნიშნავდნენ, რომ ქვეყნის საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის განვითარებასა და ხელახალ ტექნიკურ შეიარაღებაში დიდი წვლილი შეაქვთ ამ საზოგადოების ორგანიზაციებს. მთელი მათი საქმიანობა ხმარდება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას, წარმოებაში მეცნიერების ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევების უსწრაფესად დანერგვას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

ყრილობის მონაწილეებმა მიიღეს დადგენილება, რომელშიც განსაზღვრეს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების შემდგომი ამოცანები.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. შელეპინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე პ. ვ. სიხოვი, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ნ. ნ. ტარასოვი. (საკდისის კორ.).

ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲨᲐᲰᲘᲜᲨᲐᲰᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲡ

ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲐ, 19 ოქტომბერი. (საკდისი). ყაზახეთის დედაქალაქში სტუმრად მყოფი ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეიქლევი და მასთან ერთად სსრ კავშირში ჩამოსული ოფიციალური პირნი ეწვივნენ ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტსა და მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტს. საპატიო სტუმრმა დაათვალიერა ინსტიტუტების ატომური რეაქტორი, ციკლოტრონი, თანამედროვე მოწყობილობა.

დედოფალი ფარაჰ ფეიქლევი დილით ეწვია ყურმანლაზის სახელობის ხელოვნების ინსტიტუტს, სადაც გაეცნო მუსიკალური კადრების მომზადებას. შემდეგ ორი ივო ყაზახეთის ენციკლოპედიის, ეროვნული ენციკლოპედიის, ეროვნული ენციკლოპედიის, ეროვნული

პარტიული ცხოვრება

საქანგარიშო-საარჩევნო კრებები პარტიულ ორგანიზაციებში

რატომ ჩამორჩნენ?

მაღალი და საპატიო კომუნისტის სახელი. მას სამშობლოს საკეთილდღეოდ პრაქტიკული შრომით, საზოგადოებისა და პირად ცხოვრებაში სანიმუშო ყოფაქცევით გაამართლებ.

როგორ ასრულებენ ამ მოთხოვნას საერთო მშენებლობის № 5 ტრესტის სამმართველო აპარატის კომუნისტები? აი მთავარი თემა, რაზედაც საუბარი უნდა გამართულიყო საანგარიშო-საარჩევნო კრების მთელი მსვლელობის დროს.

№ 5 სამშენებლო ტრესტს თუთუმეტიოდე წლის ისტორია აქვს. პირველ წელიწადს მას ერთი მილიონი მანეთის სამშენებლო გეგმა ჰქონდა. ახლა ტრესტი ყოველწლეულად 22 მილიონი მანეთის სამუშაოებს ასრულებს. ქობულეთის რაიონის მდინარე ჩოლოქის საყურარტო ზონიდან მდინარე ჭოროხამდე, შავი ზღვიდან მაღალმთიან ხულომდე რაც ადმინისტრაციული შენობები, საავადმყოფოები, დასასვენებელი სახლები და სკოლები, ქალაქ ბათუმის ათეულობით მაღლივი შენობები და კომუნალური სამსახურის კომუნიკაციებია, თითქმის ყველა ის მთელი რიგი ობიექტები, რომლებიც გადამდე გადაეცა საექსპლოატაციოდ, მაგრამ ამან არ უნდა დაარღვიოს სხვა მშენებარე ობიექტების მშენებლობათა გრაფიკი.

რამ გამოიწვია ჩამორჩენა მეორე და მესამე კვარტალებში?

კრებაზე სტატისტიკა გამოსულმა ტრესტის მმართველმა მ. უსტიაშვილმა ეს ჩამორჩენა ძირითადად ცუდი მომარაგებით ახსნა. მან მკაცრად გააკრიტიკა მომარაგების უფროსი ლ. გეგია, რომელმაც თავი ვერ გაართვა დაკისრებულ მოვალეობას. ტრესტი ცუდად მოამარაგა საშენი მასალით. ამიტომ იყო შეფერხებები და ზოგჯერ რამდენიმე ბრიგადა უქმად იდგა. დანაშაული მიუძღვით მომწოდებელ ორგანიზაციებსაც, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ საშენი მასალის გეგმაზომიერ მოწოდებას, რაც იწვევს მშენებლობის არითმიას, სამწუხაროდ, ეს უკვე სენი გახდა, რასაც გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

თავისებურად სცოდავენ საპროექტო ორგანიზაციები, რომლებიც დროულად ვერ უზრუნველყოფენ უნაკლო პროექტების მიწოდებას. პროექტებში ცვლილებების შეტანა გზადაგზა უხდებათ, ზოგიერთი საპროექტო ორგანიზაცია არ ითვალისწინებს ტრესტის სამშენებლო კონსტრუქციებს.

შემდგომში ნაკლებად რომ იყოს დამოკიდებული მომწოდებელ ორგანიზაციებზე, გადაწყდა ამშენებულიყო წელიწადში 100 ათასი კუბმეტრი წარმადობის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანა, რითიც ორმაგად გაიზრდება ტრესტის შესაძლებლობა. ამჟამად ქარხნის მშენებლობა დაკვრითი წესით მიმდინარეობს და ვარაუდობენ, რომ მომავალი წლის დასაწყისში გაფიცება საექსპლოატაციოდ.

ოთხიანთ გამოსვლებში კომუნალური განყოფილების უფროსმა ს. ქათამაძემ, მთავარი ინჟინრის მოადგილემ თ. გუჯაბიძემ, საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორმა ო. მარგალიტაძემ ილაპარაკეს სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე, იმაზეც, რომ ჯერ კიდევ დაბალია საცხოვრებელი სახლების მშენებლობათა ხარისხი, არის თვალსაჩინო დეფექტები.

კრებაზე ითქვა, რომ საანგარიშო პერიოდში ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მუშების მიერ შემოვიდა მრავალი ათეული რაციონალიზატორული წინადადება, რომელთაგან დაინერგა 40. ბათუმი ეკონომიურმა ეფექტმა ასი ათას მანეთს მიაღწია. მარშანდელთან შედარებით მშენებლობის მოცულობა გაიზარდა 12 პროცენტით, 8 პროცენტით შემცირდა ხელით შრომა. ახლა ტექნიკა ასრულებს მთელი სამუშაოს 62 პროცენტს, მაგრამ ამასთან ისიც აღინიშნეს, რომ ზოგი მუშა არ უფრთხილდება მექანიზმებს, ზოგან დაბალია შრომის კულტურა, უფრო მეტად უნდა დაინერგოს შრომის მეცნიერული ორგანიზაცია.

როგორც პარტიული კრების მსელელობამ ცხადყო, მან სამეურნეო ხასიათი უფრო მიიღო. ეს თვით მოხსენების შინაარსიდან გამომდინარეობდა. ნაკლებად იყო ლაპარაკი პარტიული ორგანიზაციისა და თვითეული კომუნისტის როლზე, მის წვლილზე საერთო საქმეში. არავფერი თქმულა პარტიული ორგანიზაციის მიერ ჩამორჩენის სალაკვედაციოდ დასახულ ღონისძიებებზე. სათანადო პრობაგანდა არ ეწევა მოწინავეთა გამოცდილებას. მომხსენებელს ანალიზი არ გაუკეთებია, თუ საანგარიშო პერიოდში პარტორგანიზაციამ და მისმა ბიურომ რა მტკივნეული საკითხები გახადეს მსჯელობის საგნად, როგორ ამოწმებდნენ მოღებული დადგენილებების შესრულებას, როგორ იყენებდნენ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, რა გაკლენა მოახდინეს მთ კოლექტივის მთელ ცხოვრებაზე.

კრებაზე განსაკუთრებით აღინიშნა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის უღიმღამო დამპარება ტრესტის კომკავშირული ორგანიზაციისადმი. მშენებლებზე არ იქმნება ახალგაზრდული ბრიგადები, რომლებიც მაგალითის მომცემნი იქნებიან სხვებისათვის.

კომათის მონაწილეებმა წამოაყენეს წინადადება: პარტიული ორგანიზაციები დაესაქსულია სამმართველოებისა და უბნების მიხედვით, მათთვის საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად სასურველია ტრესტში შეიქმნას პარტიული კომიტეტი.

საანგარიშო-საარჩევნო კრებამ კომუნისტთა წინადადებების გათვალისწინებით პარტბიუროს მომავალი მუშაობის ღონისძიებანი დაუსახა.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲘ

ნალენჯიხის რაიონის სოფელ ჭალეს მკვიდრმა ვალერიან უბილავამ 1944 წლის ზაფხულში დაამთავრა საბრძოლო გზა ბრესლის ახლო ტყეებში. მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო, მაგრამ რუს, უკრაინელ, ბელორუს და სხვა ეროვნების თანამებრძოლებს არ ავიწყდებათ ქართველი კაპიტანი, პარტიზანული ასეულის მეთაური, ახსოვთ მისი ვაჟკაცობა ოსტროპოლის, მოტოვილოვკის, შეპეტოვკის, რაიკის, ჟიტომირისა და უკრაინის სხვა სოფლებისა და ქალაქების მცხოვრებლებს, სადაც ვალერიან უბილავამ არავრთხელ ისახელა თავი — გაუძღო მრავალ განსაცდელს, ტყვეობიდან გაქცეულმა თავი მოუყარა მამაც ადამიანებს და შეადგინა პარტიზანული ასეული. ვალერიან უბილავას ასეული თავს ესხმოდა და ანადგურებდა ფაშისტთა გარნიზონებს, ათავისუფლებდა სამხედრო ტყვეებს, აფეთქებდა მტრის კომუნიკაციებს.

1944 წლის შემდეგ ვალერიანს არ ენახა თანამებრძოლები, ცხოვრობდა თავის სოფელში, შრომობდა. ენგურჰესის მშენებლობის დაწყებიდან მან იქ დაიწყო მუშაობა. თავის ფრონტულ წარსულზე იმვიათად თუ იტყოდა რამეს, არაგინ იცოდა, თუ რა საბრძოლო გზა გამოთაარა... და აი 1966 წელს ვასილ დერკაჩმა და სტეპან ლეგჩენკომ, რომლებიც პარტიზანული მოძრაობის სხვა ვეტერანებთან ერთად მალიოკოის შენაერთის ისტორია-ალბომს ადგენდნენ, თითქმის ერთდროულად მიაკვლიეს თანამებრძოლის კვალს, წერილების ნიაღვარი მოაწყდა სოფელ ჭალეს — წერდნენ შენაერთის ყოფილი მებრძოლები, იმ სოფლების მცხოვრებნი, რომლებიც მისმა ასეულმა გაათავისუფლა, სწერდა პოლკის მეთაური, მასწავლებელები, ექიმები, ახინი, ვისთანაც ომის გზებმა შეაჯვდრა. ყველაზე ვრცელი და თბილი კი ვასილ დერკაჩის, ყოფილი „ვასიჩ მეტყვიამფრქვევის“ წერილი იყო.

გადიოდა დრო. იმ დღეებში, როგორ საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს ზეიმობდნენ, დერკაჩმა ინახულა მეგობარი და მებრძოლი მეთაური. ვალერიანი უკრაინაში პარტიზანული შენაერთის ბრძოლის ადგილებში მიიწვია.

თანამებრძოლებმა საფუძველი ჩაუყარეს ვიტიმირის ოლქის ბევრი სოფლისა და წალენჯიხის რაიონის სოფელ ჭალეს მშრომელთა მეგობრობას. ვასილ დერკაჩმა კი ჭალელები მოლდავეთის მშრომელებთანაც დააკავშირა.

და აი საპასუხო შეხვედრა, ამჯერად ჭალეში. სოფელი მზად იყო სტუმართა შესახვედრად. აქ იყვნენ წალენჯიხის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები. საზეიმო შეხვედრაზე სიტყვებით გამოვიდნენ ჭალის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე დამიანე უბილავა, ყოფილი პარტიზანები — სტეპან ლეგჩენკო, ვალერიან უბილავა და ვასილ დერკაჩი. მათ ილაპარაკეს საბჭოთა ხალხების დიად მეგობრობაზე, მოიგონეს ომის დღეები, გაიხსენეს თანამებრძოლები, დიდებით მოიხსენიეს ყველა ისინი, ვინც ჩვენი ქვეყნის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობის შესწირა თავი.

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ მეკარტოფილეებმა მიმდინარე ხაიუბილეო წელს გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. ჯერ კიდევ სამეურნეო წლის დასაწყისში გადაწყვეტეს კარტოფილის ნათესების სანიმუშო მოვლა-პატრონობით გადიდებინათ მოსავლიანობა და სახელმწიფოსთვის მიეყიდათ 12.000 ტონა კარტოფილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8.800 ტონისა. ასეთი დიდი ამოცანის წინაშე რაიონის მეკარტოფილეები ჯერ არასოდეს არა მდგარან.

ნაკლები ვალდებულებების გასაღებულად აქაურმა მშრომელებმა დიდი შრომა და ოფლი გასწიეს. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წლევანდელი არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების მიუხედავად ბევრგან საწანებო მოსავალი მიიღეს. ახლა რაიონის მეკარტოფილეთა მთელი საქმიანობა იქით არის მიმართული, რომ ეფექტურად გამოიყენონ ყოველი დღე და საათი, რათა დროულად და უდანაკარგოდ აიღონ კარტოფილის მოსავალი.

რაიონის მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში ორგანიზებულად მიმდინარეობს კარტოფილის მოსავლის აღება. გადიდებულ მოთხოვნილებებს მაგალორგანიზებული და გამართული შრომით უპასუხეს ახალციხის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის (დირექტორი ვ. ხითარიშვილი) მშრომელებმა. მეურნეობაში უკვე დასასრულს უახლოვდება კარტოფილის მოსავლის აღება. აქ 75 ჰექტარზე უთესიათ კარტოფილი. 11 ოქტომბრისათვის უკვე აღებული ჰქონდათ 70 ჰექტარზე. მეურნეობის მეკარტოფილეებმა პირნათლად შეასრულეს დაპირება. სასელმწიფოს მიჰყიდეს 360 ტონა კარტოფილი ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 350 ტონისა. კარტოფილის დიდი მოსავალი მიიღეს ჭვინთისა და კლდის აგროგანყოფილებებმა (მმართველები მ. ბელაშვილი). მათმა მეკარტოფილეებმა საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 130-140 ცენტნერი კარტოფილი.

კარგად იშრომეს სოფელ ელიაწმინდის საბჭოთა საქართველოს სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე მ. ბელაშვილი) მეკარტოფილეებმაც. მათ დროულად დაიწყეს და უკვე დაამთავრეს კარტოფილის მოსავლის აღება. გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსთვის კარტოფილის მიყიდვის გეგმაც და ვალდებულებაც.

სოფელ ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. კაკაბაძილი) კარტოფილის მოსავლის აღებაზე დასაქმებულია მთელი მუშახელის 80 პროცენტზე მეტი. აქ წარმატებით იყენებენ აგრეთვე კარტოფილის ამოსათხრელ მანქანებს. მექანიზატორი ვ. ნასყიდაშვილი თავისი კარტოფილსათხრელი მანქანით ყოველდღიურად 1-1,5 ჰექტარ ფართობზე იღებს კარტოფილის მოსავალს.

ამინდები რომ კარგი იყოს და ნიადაგი მშრალი, დღეში ორ ჰექტარზე ავიღებდი კარტოფილის მოსავალსო, — ამბობს მექანიზატორი. ვალელ მეკარტოფილეებს კარტოფილის მოსავლის აღებაში ეხმარებიან აგრეთვე ქალაქ ვალეს პირველი საშუალო სკოლის მაღალი კლასების მოსწავლეები. კოლმეურნეობაში კარტოფილის აღებაზე მუშაობა იწყება დილით ადრე და გრძელდება გვიან საღამომდე. ეშურებიან, რომ დროულად დააბინაონ მოსავალი. 125 ჰექტარი ნათესი ფართობიდან მოსავალი უკვე აღებული აქვთ 78 ჰექტარზე. ერთ კვირაში დაამთავრებენ მოსავლის აღებას. ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა ჯერჯერობით 120 ცენტნერს აღწევს. ცალკეულ ბრიგადებმა ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო მეტია. მაგალითად, მემინდვრეობის მეათე ბრიგადაში, რომელსაც მოთა ნასყიდაშვილი ხელმძღვანელობს, ჰექტარზე საშუალოდ 150-160 ცენტნერ კარტოფილს იღებენ.

კარტოფილის მოსავლის აღება მთელი ფრონტით არის გაშლილი აწყურის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ნ. სარჯველაძე). მეურნეობის მთელი მუშახელი ძირითადად ამ საქმეზეა დაკავებული, მუშაობენ კარტოფილის ამღები მანქანებიც. 300 ჰექტარი ნათესი ფართობიდან მოსავალი უკვე აღებულია 160 ჰექტარზე. კარტოფილის კარგი მოსავალი მიიღეს ფერსის, ტყვმლანის და აწყურის აგროუბნებმა, რომელთაგან ა. ჩაჩანიძე, ქ. კაბანაძე და გ. ხვედელიძე ხელმძღვანელობენ. მათ აგროუბნებში კარტოფილის საშუალო მოსავლიანობა 130-160 ცენტნერს აღწევს. უფრო მეტი მოსავალი მიიღეს ცალკეულმა ბრიგადებმა და მეკარტოფილეებმა. ტ. გასიტაშვილის ბრიგადა, რომელსაც 12 ჰექტარზე უთესია კარტოფილი, საშუალოდ ჰექტარზე იღებს 200 ცენტნერამდე მოსავალს, ხოლო მეკარტოფილეებმა გრიგოლ მუმლაძე, კირილე მარტინენკომ და 76 წლის ჰენსიონერმა ვიქტორ ხვედელიძემ მათზე მიმაგრებულ ნაკვეთებზე ჰექტარზე გადაანგარიშებით საშუალოდ მიიღეს 250-300 ცენტნერამდე მოსავალი. მეურნეობამ უკვე შეასრულა სახელმწიფოსთვის კარტოფილის მიყიდვის გეგმა და ადრე ნაკისრი ვალდებულება, ქვეყანას მისცა 1.700 ტონა კარტოფილი. მათმა მეკარტოფილეებმა კარტოფილის მიყიდვის ნაკისრი ვალდებულება, ქვეყანას მისცა 1.700 ტონა კარტოფილი. მათმა მეკარტოფილეებმა კარტოფილის მიყიდვის გეგმა და ადრე ნაკისრი ვალდებულებები იკისრეს.

კარტოფილის მოსავლის აღება სწრაფი ტემპითა და ორგანიზებულად მიმდინარეობს აგრეთვე მთიანი სოფლების ანისა და ხეითის კოლმეურნეობებში (თავმჯდომარეები ბ. კაპანაძე, გ. ვეშაგური), სადაც ჰექტარზე საშუალოდ 120-130 ცენტნერამდე კარტოფილის მოსავალს იღებენ. მაგრამ ასე როდია ყველგან. წყალთბილას მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ა. სიმონიანი) წინუბნის აგროგანყოფილების მესამე და მეოთხე ბრიგადების კარტოფილის ფართობებში მოსავლის აღებაზე მართალია ბევრნი მუშაობდნენ, მაგრამ ისინი ძირითადად წინუბნის საშუალო სკოლის მოსწავლეები იყვნენ. ამ ბრიგადების (ხელმძღვანელები გ. სეროფიანი, ო. სრაბიანი) წევრებიდან კი კარტოფილის მოსავლის აღებაზე მუშაობას. ამიტომ აქაც, რომ ამ ბრიგადაში დღეში 0,40 ჰექტარ ფართობზე ძლივს იღებენ კარტოფილს.

— ჩვენს კითხვაზე, თუ ვინ არიდებს თავს ბრიგადაში მუშაობას, ბრიგადირმა გვიპასუხა, შეგიძლიათ მეურნეობის დირექტიაში. ასეთი სია ასეთი მუშებისა. აგრონუბნის მმართველს რამდენჯერ გადავეცი ზომების მისაღებად, მაგრამ ამას ჯერჯერობით არავითარი შედეგი არ მოპყოლიაო. აგრონუბნის მმართველმა ნ. ნერსესიანმა რატომღაც ვერც სიები მონახა და არც გვარები დაგვისახელა იმ მუშებისა, რომლებიც სოფელგარე სამუშაოზე დადიან გასტროლიორებივით. ასეთი მუშები კი აგროუბანში 80-მდეა.

პამაჯის საბჭოთა მეურნეობაში წელს 315 ჰექტარზე ეთესათ კარტოფილი. აქედან 11 ოქტომბრისათვის აღებული იყო 145 ჰექტარზე. ნახევარზე მეტი ისევ ასაღებია. კარტოფილის ამოღების ტემპი თუ არ დაჩქარეს, აქ ამ სამუშაოს ალბათ ნოემბრამდეც ვერ დამთავრებენ.

ყოველივე ამასთან ადგილი აქვს დანაკარგებს. აღებულ ფართობებში კარტოფილი დიდი რაოდენობით რჩება. მართალია კულტივაციის დროს განმეორებით იკრიფება კარტოფილი, მაგრამ აუკრეფავი საკმაოდ მაინც არის. ამ მხრივ უფრო მეტი ყურადღების გამახვილებაა საჭირო პამაჯის და ზაალანთის მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობებში. დანაკარგებს განსაკუთრებით ადგილი აქვს მაშინ, როცა ნიადაგი სველია. ამიტომ უნდა ეცადონ მეურნეობათა ხელმძღვანელები რაც შეიძლება მაქსიმალურად გამოიყენონ მშრალი ამინდები კარტოფილის დროულად ასაღებად.

რაიონის მეკარტოფილეებმა სახელმწიფოს უკვე მიაყიდეს 5.100 ტონაზე მეტი კარტოფილი. სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის საჭიროა კიდევ 3.700 ტონა, ხოლო ვალდებულების შესრულებისათვის კიდევ უფრო მეტი.

ამ საპატიო ამოცანის წარმატებით გადაჭრა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ჩრუნავენ აქაური ადამიანები კარტოფილის მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის. ვფიქრობთ ხარვეზები გამოსწორდება და ჩვენი მშრომელები დიდძალ ახალციხურ კარტოფილს მიიღებენ.

ᲖᲣᲠᲐᲗᲝᲜ: სტუმარმასპინძელთა შეხვედრა სოფელ ჭალეში.

Ჯ. ᲧᲣᲨᲜᲘᲐᲜᲘᲡ ფოტო.

კარტოფილი არის, აღება ჭიანურდება

დროულად აკიღოთ კარტოფილი, არ დაკუშვათ დანაკარგები

ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲝᲜ ᲑᲝᲬᲐᲚᲘᲫᲕᲘᲚᲘ — ახალციხის რაიონის ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი, **Ზ. ᲩᲘᲥᲕᲘᲜᲘᲫᲔ** — აწყურის საბჭოთა მეურნეობის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე, **Ზ. ᲚᲝᲛᲫᲐᲫᲔ** — ახალციხის რაიგაზეთის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, **Ш. ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ** — „კომუნისტის“ ხაკუთარი კორესპონდენტი.

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ მეკარტოფილეებმა მიმდინარე ხაიუბილეო წელს გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. ჯერ კიდევ სამეურნეო წლის დასაწყისში გადაწყვეტეს კარტოფილის ნათესების სანიმუშო მოვლა-პატრონობით გადიდებინათ მოსავლიანობა და სახელმწიფოსთვის მიეყიდათ 12.000 ტონა კარტოფილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8.800 ტონისა. ასეთი დიდი ამოცანის წინაშე რაიონის მეკარტოფილეები ჯერ არასოდეს არა მდგარან.

ნაკლები ვალდებულებების გასაღებულად აქაურმა მშრომელებმა დიდი შრომა და ოფლი გასწიეს. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წლევანდელი არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების მიუხედავად ბევრგან საწანებო მოსავალი მიიღეს. ახლა რაიონის მეკარტოფილეთა მთელი საქმიანობა იქით არის მიმართული, რომ ეფექტურად გამოიყენონ ყოველი დღე და საათი, რათა დროულად და უდანაკარგოდ აიღონ კარტოფილის მოსავალი.

რაიონის მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში ორგანიზებულად მიმდინარეობს კარტოფილის მოსავლის აღება. გადიდებულ მოთხოვნილებებს მაგალორგანიზებული და გამართული შრომით უპასუხეს ახალციხის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის (დირექტორი ვ. ხითარიშვილი) მშრომელებმა. მეურნეობაში უკვე დასასრულს უახლოვდება კარტოფილის მოსავლის აღება. აქ 75 ჰექტარზე უთესიათ კარტოფილი. 11 ოქტომბრისათვის უკვე აღებული ჰქონდათ 70 ჰექტარზე. მეურნეობის მეკარტოფილეებმა პირნათლად შეასრულეს დაპირება. სასელმწიფოს მიჰყიდეს 360 ტონა კარტოფილი ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 350 ტონისა. კარტოფილის დიდი მოსავალი მიიღეს ჭვინთისა და კლდის აგროგანყოფილებებმა (მმართველები მ. ბელაშვილი). მათმა მეკარტოფილეებმა საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 130-140 ცენტნერი კარტოფილი.

კარგად იშრომეს სოფელ ელიაწმინდის საბჭოთა საქართველოს სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე მ. ბელაშვილი) მეკარტოფილეებმაც. მათ დროულად დაიწყეს და უკვე დაამთავრეს კარტოფილის მოსავლის აღება. გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსთვის კარტოფილის მიყიდვის გეგმაც და ვალდებულებაც.

სოფელ ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. კაკაბაძილი) კარტოფილის მოსავლის აღებაზე დასაქმებულია მთელი მუშახელის 80 პროცენტზე მეტი. აქ წარმატებით იყენებენ აგრეთვე კარტოფილის ამოსათხრელ მანქანებს. მექანიზატორი ვ. ნასყიდაშვილი თავისი კარტოფილსათხრელი მანქანით ყოველდღიურად 1-1,5 ჰექტარ ფართობზე იღებს კარტოფილის მოსავალს.

ამინდები რომ კარგი იყოს და ნიადაგი მშრალი, დღეში ორ ჰექტარზე ავიღებდი კარტოფილის მოსავალსო, — ამბობს მექანიზატორი. ვალელ მეკარტოფილეებს კარტოფილის მოსავლის აღებაში ეხმარებიან აგრეთვე ქალაქ ვალეს პირველი საშუალო სკოლის მაღალი კლასების მოსწავლეები. კოლმეურნეობაში კარტოფილის აღებაზე მუშაობა იწყება დილით ადრე და გრძელდება გვიან საღამომდე. ეშურებიან, რომ დროულად დააბინაონ მოსავალი. 125 ჰექტარი ნათესი ფართობიდან მოსავალი უკვე აღებული აქვთ 78 ჰექტარზე. ერთ კვირაში დაამთავრებენ მოსავლის აღებას. ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა ჯერჯერობით 120 ცენტნერს აღწევს. ცალკეულ ბრიგადებმა ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო მეტია. მაგალითად, მემინდვრეობის მეათე ბრიგადაში, რომელსაც მოთა ნასყიდაშვილი ხელმძღვანელობს, ჰექტარზე საშუალოდ 150-160 ცენტნერ კარტოფილს იღებენ.

კარტოფილის მოსავლის აღება მთელი ფრონტით არის გაშლილი აწყურის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ნ. სარჯველაძე). მეურნეობის მთელი მუშახელი ძირითადად ამ საქმეზეა დაკავებული, მუშაობენ კარტოფილის ამღები მანქანებიც. 300 ჰექტარი ნათესი ფართობიდან მოსავალი უკვე აღებულია 160 ჰექტარზე. კარტოფილის კარგი მოსავალი მიიღეს ფერსის, ტყვმლანის და აწყურის აგროუბნებმა, რომელთაგან ა. ჩაჩანიძე, ქ. კაბანაძე და გ. ხვედელიძე ხელმძღვანელობენ. მათ აგროუბნებში კარტოფილის საშუალო მოსავლიანობა 130-160 ცენტნერს აღწევს. უფრო მეტი მოსავალი მიიღეს ცალკეულმა ბრიგადებმა და მეკარტოფილეებმა. ტ. გასიტაშვილის ბრიგადა, რომელსაც 12 ჰექტარზე უთესია კარტოფილი, საშუალოდ ჰექტარზე იღებს 200 ცენტნერამდე მოსავალს, ხოლო მეკარტოფილეებმა გრიგოლ მუმლაძე, კირილე მარტინენკომ და 76 წლის ჰენსიონერმა ვიქტორ ხვედელიძემ მათზე მიმაგრებულ ნაკვეთებზე ჰექტარზე გადაანგარიშებით საშუალოდ მიიღეს 250-300 ცენტნერამდე მოსავალი. მეურნეობამ უკვე შეასრულა სახელმწიფოსთვის კარტოფილის მიყიდვის გეგმა და ადრე ნაკისრი ვალდებულება, ქვეყანას მისცა 1.700 ტონა კარტოფილი. მათმა მეკარტოფილეებმა კარტოფილის მიყიდვის ნაკისრი ვალდებულებები იკისრეს.

კარტოფილის მოსავლის აღება სწრაფი ტემპითა და ორგანიზებულად მიმდინარეობს აგრეთვე მთიანი სოფლების ანისა და ხეითის კოლმეურნეობებში (თავმჯდომარეები ბ. კაპანაძე, გ. ვეშაგური), სადაც ჰექტარზე საშუალოდ 120-130 ცენტნერამდე კარტოფილის მოსავალს იღებენ. მაგრამ ასე როდია ყველგან. ბ. მარჭარიანი, ა. ამბარიანი, ბ. არუთინიანი, ა. მარკარიანი და სხვები.

ანალოგიური მდგომარეობაა ამავე აგროგანყოფილების მეოთხე ბრიგადაში (ხელმძღვანელი ა. ავაკიანი). აქ წელს 19 ჰექტარზე ეთესათ კარტოფილი. აქედან აღებული ჰქონდათ მხოლოდ 7,5 ჰექტარზე. ბრიგადის 60 შრომისუნარიანი წევრიდან კარტოფილის აღებაზე ყოველდღიურად მონაწილეობს მხოლოდ 13-14 მუშა, 7-8 კაცი საკვების მოპოვებაზეა დასაქმებული, დანარჩენები კი თავს არიდებენ მეურნეობაში მუშობას. ამიტომ იქის, რომ ამ ბრიგადაში დღეში 0,40 ჰექტარ ფართობზე ძლივს იღებენ კარტოფილს.

— ჩვენს კითხვაზე, თუ ვინ არიდებს თავს ბრიგადაში მუშაობას, ბრიგადირმა გვიპასუხა, შეგიძლიათ მეურნეობის დირექციაში. ასეთი სია ასეთი მუშებისა. აგრონუბნის მმართველს რამდენჯერ გადავეცი ზომების მისაღებად, მაგრამ ამას ჯერჯერობით არავითარი შედეგი არ მოპყოლიაო. აგრონუბნის მმართველმა ნ. ნერსესიანმა რატომღაც ვერც სიები მონახა და არც გვარები დაგვისახელა იმ მუშებისა, რომლებიც სოფელგარე სამუშაოზე დადიან გასტროლიორებივით. ასეთი მუშები კი აგროუბანში 80-მდეა.

პამაჯის საბჭოთა მეურნეობაში წელს 315 ჰექტარზე ეთესათ კარტოფილი. აქედან 11 ოქტომბრისათვის აღებული იყო 145 ჰექტარზე. ნახევარზე მეტი ისევ ასაღებია. კარტოფილის ამოღების ტემპი თუ არ დაჩქარეს, აქ ამ სამუშაოს ალბათ ნოემბრამდეც ვერ დამთავრებენ.

ყოველივე ამასთან ადგილი აქვს დანაკარგებს. აღებულ ფართობებში კარტოფილი დიდი რაოდენობით რჩება. მართალია კულტივაციის დროს განმეორებით იკრიფება კარტოფილი, მაგრამ აუკრეფავი საკმაოდ მაინც არის. ამ მხრივ უფრო მეტი ყურადღების გამახვილებაა საჭირო პამაჯისა და ზაალანთის მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობებში. დანაკარგებს განსაკუთრებით ადგილი აქვს მაშინ, როცა ნიადაგი სველია. ამიტომ უნდა ეცადონ მეურნეობათა ხელმძღვანელები რაც შეიძლება მაქსიმალურად გამოიყენონ მშრალი ამინდები კარტოფილის დროულად ასაღებად.

რაიონის მეკარტოფილეებმა სახელმწიფოს უკვე მიაყიდეს 5.100 ტონაზე მეტი კარტოფილი. სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის საჭიროა კიდევ 3.700 ტონა, ხოლო ვალდებულების შესრულებისათვის კიდევ უფრო მეტი.

ამ საპატიო ამოცანის წარმატებით გადაჭრა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ჩრუნავენ აქაური ადამიანები კარტოფილის მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის. ვფიქრობთ ხარვეზები გამოსწორდება და ჩვენი მშრომელები დიდძალ ახალციხურ კარტოფილს მიიღებენ.

ᲒᲐᲛᲘᲠᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲛᲘᲮᲐᲠᲓᲐᲡᲐᲭᲛᲠᲐᲓ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ მთელი პროგრესული კაცობრიობა განსაკუთრებული ალიკვეთებით ეცხადების პროტესტს ამერიკის ავიაციის მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების დაბომბვის წინააღმდეგ. ვიეტნამელ, ლაოსელ და კამბოჯელ ხალხებთან სოლიდარობის საერთაშორისო კვირეულე, რომელიც მომდინარეობს ინდოჩინეთის შესახებ ჟენევის ხელშეკრულების ოცდაერთმეტ ქვეყანა, ინდოეთ-კანადა-პოლონეთ-ინდოეთ-ინდონეზიის ოთხმხრივ კომისიებ-ის ანგარიშებ-ის, ინდოჩინეთ-ის ხალხ-ებ-ის ინტერეს

ლაიფციგის საშემოდგომო ბაზრობა

ლაიფციგში სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის ფორმებისა და შედეგების ფართო დემონსტრაცია მოეწყო

მუშაობა დაამთავრა 1972 წლის ლაიფციგის საშემოდგომო ბაზრობამ, რომელიც მიმდინარეობდა „მსოფლიოში თავისუფალი ვაჭრობისა და ტექნიკური პროგრესის“ ლოზუნგით. როგორც ყოველთვის, ბაზრობაზე ფართოდ წარმოდგენილია სოციალისტური ქვეყნები, რომელთა მიღწევებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის ცხოველმყოფელი და უდიდესი მიღწევები.

ვნებივდავთ მოსკოვში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სავაჭრო წარმომადგენლობის მიერ მომზადებულ მასალებს, რომლებიც მოგვითხრობენ ლაიფციგის 1972 წლის ბაზრობის წარმატების შესახებ.

◆

ზოფლიოს ისეთი წამყვანი გაზეთები, როგორიც არიან „პრავდა“, „ტრიბუნა ლუდუ“, „რუდე პრავო“ და სხვები, 1972 წლის ლაიფციგის საშემოდგომო ბაზრობის წინ ამაზე წერდნენ, რომ ეს საერთაშორისო ეკონომიური ღონისძიება კვლავ წარმოადგენს განვითარებადი სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის სარკეს. საშემოდგომო ბაზრობის დამთავრების შემდეგ ეს მტკიცება მთლიანად იქნა დადასტურებული.

92 ქვეყნის კომერსანტები, ეკონომისტები, მეცნიერები და ტექნიკოსები ეკონომიურ, ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ექსპოზიციების მაგალითზე დარწმუნდნენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ ქვეყნების ორმხრივი თუ მრავალმხრივი ურთიერთობანი. როგორც ცნობილია, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნები აწარმოებენ მსოფლიოს პროდუქციის თითქმის მესამედს, ამ დროს, როდესაც მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენენ. გამოფენის საერთო ფართობიდან სოციალისტური ქვეყნების ექსპოზიციის ერთი მეხუთედი უჭირავთ ხოლმე. მაგრამ ამჯერად მათი საგამოფენო ფართობი გასულ წელთან შედარებით თითქმის ოთხჯერ გაიზარდა და 229 ათასი კვადრატული მეტრი შეადგინა.

ბაზრობები, განსაკუთრებით ლაიფციგის ბაზრობა, წარმოადგენს მნიშვნელოვან რგოლს სოციალისტური ქვეყნების მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების ერთობლივი პროგრამის განხორციელების გზაზე, რომელიც გამიზნულია 15-20 წლით. ნიკოლოს ფაფეევმა, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მდივანმა, ამასთან დაკავშირებით ასე დაახასიათა ლაიფციგის ბაზრობის როლი სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციისათვის.

„სოციალისტური ქვეყნების წარმატებითი ეკონომიური თანამშრომლობისათვის ლაიფციგის ბაზრობა არის სასწაულო ჩვენება და ამავე დროს თავისებური კატალიზატორი. სხვადასხვა სოციალისტური ქვეყნების საქონლის ჩვენებით და ამ ქვეყნების სპეციალისტთა გამოცდილების მეგობრული გაზიარებით ხდება ურთიერთობის შემდგომი გაღრმავება და სრულყოფა, ამასთან სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაცია განვითარების ახალ ეშპულსებს იძენს“.

ლაიფციგის ბაზრობის ერთიერთი დადებითი თვისება მისი ინტერნაციონალობაა. მაგალითად, მომდინარე წლის საშემოდგომო გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 52 ქვეყნის 6.488 ექსპონატი — უმეტესობა მსოფლიოს ცნობილი ფირმების პროდუქცია. ლაიფციგში ჩამოვიდა 92 ქვეყნის წარმომადგენელი, მათ შორის თითქმის ნახევარი მეცნიერი, ინჟინერი, ტექნიკოსი იყო.

ვაჭრობა და ინფორმაციის გაცვლა ამ დიდი ღონისძიების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. ლაიფციგის, ისე როგორც არც ერთ სხვა ბაზრობას, გააჩნია ფართო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამა. ეს კი ქმნის შესანიშნავ ატმოსფეროს, კომერციული ურთიერთობის ფართო ასპარეზს როგორც სოციალისტური ქვეყნების შიგნით ისე მესამე ქვეყნებთან. ამასთან საგარეო-სავაჭრო საწარმოების ბაზრობაზე ერთად ყოფნა მოითხოვს ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის აზრთა გაცვლა ამ მიმართულებით ერთ-ერთი ფაქტორია. სხვადასხვა სოციალისტური ქვეყნების საქონლის ჩვენებით და ამ ქვეყნების სპეციალისტთა გამოცდილების მეგობრული გაზიარებით ხდება ურთიერთობის შემდგომი გაღრმავება და სრულყოფა, ამასთან სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის განვითარების ახალ ეშპულსებს იძენს“.

ლაიფციგის ბაზრობის ერთ-ერთი ფაქტორი ისაა, რომ უწყობს სოციალისტურ ქვეყნებს შორის ეკონომიურ თანამშრომლობას, დაამტკიცა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის მონაცემების პირველმა გაცვლამ, რომელიც წარმოდგენილი იყო 1969 წლის ლაიფციგის ბაზრობაზე მაშინ 2000 კილომეტრზე მეტ მანძილზე დამყარებული ორი პირდაპირი კავშირი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის ინსტრუმენტულ მანქანათმშენებლობის მონაცემების გამოთვლი ცენტრსა და მოსკოვის გამოთვლით ცენტრებს შორის, გამოფენაზე უჩვენებდნენ ავტომატურად შედგენილ პროგრამებს პროგრამირებული ჩარხებისათვის. უკვე ერთი წლის შემდეგ, 1970 წელს ეს ნიდი კიდევ უფრო სრულყოფილი გახდა: ლაიფციგი — მოსკოვი — კარლ-მარქს-შტადტ-ლაიფციგი.

გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და საბჭოთა კავშირმა პირველად წარმოადგინეს ისეთი უნივერსალური კომპიუტორები, როგორც არის „მინსკი 22“ და „რობოტრონი 300“. ეს მიღწევები სოციალისტური თანამეგობრობის ნაყოფია.

ორმხრივი და მრავალმხრივი კოოპერაციის შედეგად შექმნილი ექსპონატები ნათლად ასახავენ იმ ფაქტს, რომ ინტეგრაციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მათი ამგვარი ტექნიკური მიღწევები. ლაიფციგის ბაზრობამ აქ ერთხელ კიდევ გასცა პასუხი სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის აუცილებლობასა და სარგებლობას. კოოპერირებისა და სპეციალიზაციის მაგალითზე საბჭოთა კავშირმა, პოლონეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, ბულგარეთმა, უნგრეთმა, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ უჩვენეს დანადგარები, მათ შორის პატარა ტრანსფორმატორული სადგური.

ლაიფციგის ბაზრობის ყველა დამოვალიერებელი დარწმუნდა, თუ რა სარგებლობას ნახულობს ყოველი სოციალისტური ქვეყანა ეკონომიურ ინტეგრაციაში და რა მნიშვნელოვანი ძალა ემატება მთელ სოციალისტურ თანამეგობრობას. საბჭოთა ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო კოოპერაციისა და სპეციალიზაციის ორა ერთი მაგალითი სსრ კავშირს, უნგრეთს, ჩეხოსლოვაკიას, ბულგარეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგში.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს კომპლექსური პროგრამის მიღების შემდეგ ეს უკვე მესამე გამოფენაა. მან ყველას დაანახა, თუ რა დიდი პოტენციური შესაძლებლობანი გააჩნიათ სოციალისტურ ქვეყნებს.

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებებს

ვაშინგტონი. 19 ოქტომბერი. (საკდესი). 12-18 ოქტომბერს ვაშინგტონში გაიმართა მეორე სესია საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის საკითხთა კომისიისა, რომელიც ამა წლის მაისში საბჭოთა ხელმძღვანელებსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ შორის მიღწეული შეთანხმების შესაბამისად შეიქმნა.

სწორია მიმდინარეობდა ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრის პ. პიტერსონის თავმჯდომარეობით, საბჭოთა მთავრობის დელეგაციას მეთაურობდა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. პატოლიჩევი.

მოლაპარაკება დამთავრდა და ხელი მოაწერეს შეთანხმებას ვაჭრობის შესახებ, შეთანხმებას ლენდ-ლიზით ანგარიშსწორების მოწესრიგების შესახებ და შეთანხმებას კრედიტების ურთიერთმიცემის შესახებ.

ხელი მოაწერეს აგრეთვე შეთანხმების ზოგიერთ საკითხზე, რომლის გამოც მოლაპარაკება მოაწყვეს ორივე მხარის მთავრობათა სპეციალურმა დელეგაციებმა.

მხარეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ყველა ეს შეთანხმება შეესაბამება სულისკვეთებას ერთობლივი დოკუმენტისას „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საფუძვლები“, რომელსაც ხელი მოაწერეს მოსკოვში ამა წლის მაისში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა, და დიდმნიშვნელოვან და აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს ორმხრივი ურთიერთობის განმტკიცებაში. ხელმოწერილი დოკუმენტები სახავენ ახალ შესაძლებლობებს საბჭოთა კავშირისა და შეერთებულ შტატებს შორის სავაჭრო-ეკონომიური კავშირურთიერთობის განვითარებისათვის.

შეთანხმება ვაჭრობის შესახებ, ეტიკოდ, ითვალისწინებს, რომ მხარეები ერთმანეთს უქმნიან ერისათვის უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმს საქონლის იმპორტისა და ექსპორტის დროს საბაჟო დაბეგვრის, გამოსაღებისა და სხვა ფორმალობათა საკითხებში. გათვალისწინებულია, რომ მხარეები წაახალისებენ ეფექტიანი საქმიანი კავშირურთიერთობის დამყარებას ორივე ქვეყნის კომერციულ ორგანიზაციებსა და ფირმებს შორის თვითეული ქვეყნის ნდობლეულის, მოწყობილობისა და ტექნოლოგიის რესურსების და მათზე ხანგრძლივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. შეთანხმებაში გამოთქმულია მხარეთა სურვილი, რომ მისი მოქმედების სამი წლის პერიოდში გადადგონ ვაჭრობის მოცულობა ორ ქვეყნას შორის სულ ცოტა ერთისამად 1969-1971 წლებთან შედარებით.

სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ვაჭრობისა და ეკონომიური ურთიერთობის განვითარებისათვის ხელშეწყობის მიზნით გათვალისწინებულია შეიქმნას სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობა ვაშინგტონში და ამერიკის შეერთებული შტატების კომერციული ბიურო მოსკოვში.

შეთანხმება იგრეთვე ითვალისწინებს არბიტრაჟის წესს.

მხარეები შეთანხმდნენ ხელი შეუწყონ ორივე ქვეყნის საქმიან წრეებს მათს კომერციულ საქმიანობაში.

მიღწეულია შეთანხმება, რომ მისცენ ერთმანეთს კრედიტები ვაჭრობის განსაკითარებლად და განახორციელონ ღონისძიებანი სხვა საფინანსო საკითხების გადასაწყვეტად.

კომისიამ მოიწონა გამართული აზრთა გაზიარება სამრეწველო ობიექტების მშენებლობაში საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობის საკითხზე, იგრეთვე ლიცენზიების, პატენტების, საავტორო უფლებებისა და ა. შ. გამოყენებასთან დაკავშირებით გადასახდელი გადასახადების გამო წამოჭრილი პრობლემების მოწესრიგების საკითხებზე. გადაწყდა, რომ კომისიის ფარგლებში შექმნილი შესაბამისი სამუშაო ჯგუფები განაგრძობენ აღნიშნულ საკითხთა დამუშავებას.

სსრ კავშირში ბუნებრივი გაზის საბადოთა დამუშავების პროექტის განხორციელებაში თანამშრომლობის ინტერესებისათვის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება შექმნას გაერთიანებული სამუშაო ჯგუფი.

შოლაპარაკება საქმიანი, კონსტრუქციული ხასიათისა იყო, კომისიის მეორე სესიის მუშაობამ სასარგებლო წვლილი შეიტანა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის განმტკიცების საქმეში.

ვაჭრობის საკითხთა კომისიის მორიგი (მესამე) სესია გადაწყვეტილია მოეწყოს მოსკოვში 1973 წელს.



ინგლისი. გაჩერდნენ ამწეები, არ ისმის ექსკავატორების ხმაური, დაცარიელდა სამშენებლო მოედნები. მანჩესტერის ათასობით მშენებელი გამოვიდა ქუჩებში. ისინი მოითხოვენ მთავრობისაგან ხელფასის გადიდებას. 300 ათას გაფიცულს გადაწყვეტილი აქვს გამარჯვებამდე იბრძოლოს.

სურათზე: მანჩესტერის მშენებელთა დემონსტრაცია. საკდესის ფოტოქრონიკა.

ბოლოვარეგა ყარაჩოში

ყარაჩი. 19 ოქტომბერი. (საკდესი). ყარაჩის ლენდი-კორანგის სამრეწველო რაიონში მდგომარეობა კვლავ დაძაბულია. როგორც ადგილობრივი გაზეთები „დოონი“ და „მორნინგ ნიუსი“ წერენ, გუშინ პოლიციამ დაატყვევა ამ რაიონის რამდენიმე მუშა, რომლებიც მშრომელთა უფლებების დაცვისათვის იბრძოდნენ.

ამჟამად მუშები სავსებით უწყვენ კონტროლს იქვს საფეიერო ფაბრიკას, რომელიც ჭიშკრის წინ მათ ბარიკადები აღმართეს. პრესას ლანდი-კორანგის რაიონის მდგომარეობა მეტად სერიოზულად მიაჩნია და ვარაუდობს, რომ შეიძლება მოხდეს შეტაკება პოლიციასა და მუშებს შორის.

ნიუ-იორკი

ნარკომანიის ეპიდემია

19 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ოფიციალური პირები აღიარებენ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ნარკომანიამ ეპიდემიის მასშტაბს მიაღწია. სტატისტიკა მოწმობს, რომ ყოველი მეათე ამერიკელი ნარკოტიკებს ხმარობს.

პრესა აჭრელებულია ციფრებით, რომლებიც გამოხატავენ ამ უბედურების მასშტაბს. სულ ცოტა 300 ათასი ამერიკელი ხმარობს მარტო ჰეროინებს, რომ ამ შეთანხმებების შედეგად ვაჭრობის მოცულობა ორ ქვეყნას შორის მნიშვნელოვნად გაიზრდება უკვე უახლოეს სამ წელიწადში. მან იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ამ შეთანხმებათა ვადის გასვლის შემდეგაც განაგრძობენ სავაჭრო კონტაქტების გაფართოებას.

ვაშინგტონი

პრეს-კონფერენცია თეთრ სახლში

ვაშინგტონი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ეკონომიური შეთანხმებანი მიზნად ისახავენ ორმხრივი ეკონომიური ურთიერთობის გაუმჯობესებას, სპობენ საბჭოთა კავშირის აქამდე არსებულ დისკრიმინაციას ამერიკის შეერთებულ შტატებთან ვაჭრობის დარგში, განაცხადა თეთრ სახლში გამართულ პრეს-კონფერენციაზე სახელმწიფო მდივანმა უ. როჯერსმა.

„ეს შეთანხმებანი, — თქვა მან, — კონკრეტული შედეგია საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეხვედრისა უმაღლეს დონეზე, რომელიც გაიმართა მოსკოვში ამა წლის მაისში“. მოლაპარაკების საბოლოო წარმატება, ხაზი გაუსვა სახელმწიფო მდივანმა, ბევრად აღსრულება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და პრეზიდენტ რ. ნიქსონის პირადი მონაწილეობით.

„ჩვენ მიგვაჩნია, — განაგრძო უ. როჯერსმა, — რომ ეს შეთანხმებები არის არა მარტო დოკუმენტები, რომლებსაც მხოლოდ ეკონომიური მნიშვნელობა აქვთ. ისინი წარმოადგენენ ფრიად არსებითს ნაბიჯს საბჭოთა კავშირთან პოლიტიკური ურთიერთობის გაუმჯობესების გზაზე, აგრეთვე ქმნიან შესაძლებლობებს მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის“.

შემდეგ პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა ვაჭრობის მინისტრი პ. პიტერსონი, რომელმაც გამოთქვა აზრი, რომ ეს შეთანხმებანი „ბოლოს მოუღებენ არანორმალურ სავაჭრო ურთიერთობას სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, რაც უკანასკნელი 25 წლის მანძილზე არსებობდა. ისინი სარგებლობას მოუტანენ მშვიდობას, არსებითს ეკონომიურ სარგებლობას მოუტანენ ორივე ქვეყანას“. პიტერსონმა აღნიშნა, რომ ამ შეთანხმებების შედეგად ვაჭრობის მოცულობა ორ ქვეყნას შორის მნიშვნელოვნად გაიზრდება უკვე უახლოეს სამ წელიწადში. მან იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ამ შეთანხმებათა ვადის გასვლის შემდეგაც განაგრძობენ სავაჭრო კონტაქტების გაფართოებას.

ნიუ-იორკი

ნარკომანიის ეპიდემია

19 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ოფიციალური პირები აღიარებენ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ნარკომანიამ ეპიდემიის მასშტაბს მიაღწია. სტატისტიკა მოწმობს, რომ ყოველი მეათე ამერიკელი ნარკოტიკებს ხმარობს.

პრესა აჭრელებულია ციფრებით, რომლებიც გამოხატავენ ამ უბედურების მასშტაბს. სულ ცოტა 300 ათასი ამერიკელი ხმარობს მარტო ჰეროინებს, რომ ამ შეთანხმებების შედეგად ვაჭრობის მოცულობა ორ ქვეყნას შორის მნიშვნელოვნად გაიზრდება უკვე უახლოეს სამ წელიწადში. მან იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ამ შეთანხმებათა ვადის გასვლის შემდეგაც განაგრძობენ სავაჭრო კონტაქტების გაფართოებას.

ვაშინგტონი

საარჩევნო კამპანიის მეთოდები

19 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვაშედჩენკო გვაუწყებინებს: ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნებამდე სამ კვირაზე ნაკლები დარჩა.

მაგრამ ორი მთავარი ბურჟუაზიული პარტიის — რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები იხილავენ არა იმდენად უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, რომლებიც მილიონობით ამერიკელ ამომრჩევლს აღელვებენ, რამდენადაც ამსილებენ მოწინააღმდეგეთა სხვადასხვა ხარვეზსა და მაქინაციას, ამ მაკიაჟირებული პოლემიკის დროს ირკვევა არჩევნების ანტიდემოკრატიული არსი უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყანაში მისი პოლიტიკური ცხოვრების, პოლიტიკურ მოღვაწეთა მორალი.

დემოკრატთა კანდიდატი პრეზიდენტის პოსტზე სენატორი ჯ. მაკგოვერნი ბრალად ხდებს რესპუბლიკელებს, რომ ისინი ეწევიან „ხაბოტაჟსა და ძირგამომთხრელ საქმიანობას“ მისი პარტიის წინააღმდეგ, ხოლო რესპუბლიკელთა საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელი ჯ. მაკგრეგორი აყენებს საპასუხო ბრალდებებს.

აქ დღემდე გაცხოველებით იხილავენ მისაკერადებელი აპარატურის დადგმის მიზნით ვაშინგტონის „უოტერგეიტის“ სასტუმროში დემოკრატთა შტაბ-ბინაზე რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლთა ივნისის თავდასხმას, ოფიციალური გამოძიების თანახმად, ამ თავდასხმაში მონაწილეობდა, აღმოჩნდა რესპუბლიკური პარტიის 25 აგენტი, რომლებიც წინათ მუშაობდნენ ცენტრალურ საგადაზეგერო სამმართველოსა და გამოძიების ფედერალურ ბიუროში და კარგად იცვნენ მომზადებული ელექტრონული თვალთვალის, ფსიქოლოგიური ომისა და „ბინძური ილეთების“ საიდუმლო ხელოვნებისათვის.

პრესა აუწყებს აგრეთვე, რომ ახლანდელი საარჩევნო კომპანიის დროს იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორიცაა ყალბი წერილები, პრესისათვის ყალბი სახელისგამგზავნი განცხადებების გავრცელება, სამსახურებრივი საქმეების გაგაცება, თვალთვალი საარჩევნო კომპანიების ხელმძღვანელებისადმი, საჯარო გამოსვლების ჩაშლის ცდები. გარდა პროპაგანდის და რეკლამის ხელოვნებისა, რომლებსაც ყოველთვის ფართოდ იყენებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ ცხოვრებაში, ახლა არანაკლებ ფართოდ მიმართავენ ჯაშუშობისა და საბოტაჟის უფრო ბინძურ ხელოვნებას, რათა თავიზე აუბნიონ ხალხს და ჩიჩქი მოსცხონ მოწინააღმდეგის პოზიციებს, წერს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიმომხილველი ჯ. რესტონი.

ამ „ბინძურ ხელოვნებას“ სმაღდება ასიათასობით დოლარი, რომელთა შეკრების სისტემას სასტიკად აკრიტიკებს საზოგადოებრივობა როგორც „ჩვენს ბოლიტიკურ ცხოვრებაში ყველაზე საშიშარ რაღაც“. საარჩევნო კამპანიისათვის სახსრების შეგროვების სისტემა, წერს ჟურნალი „ტაიმი“, „ამჟამად აქმნის კორუფციას და სულ უფრო ყინიკურად განწყობილ საზოგადოებას არწმუნებს, რომ შეიძლება პრივილეგიების ყიდვა“. სენატორმა ე. კენედიმ საარჩევნო კამპანიაში „ფულის უეუნურ ძალას“ უწოდა დემოკრატიის „ყველაზე უმეტესი ფიქვენ ვათილვა“.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ აცხადებს, რომ ახლანდელი საარჩევნო კამპანია „ყველაზე ბინძური უნდა იყოს შეერთებული შტატების მთელი ისტორიის მანძილზე“.

ვენა

კარინტიის ამბების გამო

19 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „ფოლკსშტიმმე“ ალაშფოთებელ ფაქტს უწოდებს იმას, რომ კარინტიის შოვინისტურმა ელემენტებმა კიუნსდორფში სასტიკად სცემეს კარინტიის სლოვენთა ხაბჭოს ერთ-ერთ ხელმძღვანელს მ. დუმპელნიკს.

წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა საერთაშორისო ფედერაციამ თავის განცხადებაში დაგმო ნეონაცისტური წრეების ცდები გააღვიძონ ავსტრიაში შოვინიზმის სულისკვეთება. ფედერაციამ ყურადღებას ყოფმობს იმას, რომ კარინტიის მთელ რიგ ადგილებში წაბილწეს სლოვენ პარტიზანთა ძეგლები და საფლავები.

ლონდონი

გელფასტში გრძელდება შეტაკებანი

19 ოქტომბერი. (საკდესი). ბელფასტში გრძელდება გაფფრებული შეტაკებანი ინგლისის საოკუპაციო ჯარებსა და მოსახლეობას შორის, არიან დახოცილნი და დაჭრილნი. ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქი, რომელშიც არ წყდება ხროლა და ბომბების აფეთქება, ხანძრები, ფრონტისპირა ქალაქს მოგვაგონებს.

ინგლისელმა ჯარისკაცებმა რამდენიმეჯერ დაუშინეს ცეცხლი ადგილობრივ მცხოვრებლებს რის შედეგად დაიხოცა ოთხი ირლანდიელი, მათ შორის თხუთმეტი წლის ბიჭი, ათზე მეტი კაცი დაჭრა, მათ შორის ორი მოზარდი, რომლებიც ჰოსპიტალში მიიყვანეს. ძმიერ მდგომარეობაში. ოლსტერში დაბოიკოტდა რიცხვი წლის თითქმის 400 კაცს აღწევს.

„უშიშროების ძალები“ ჩხრეკენ ბელფასტის კათოლიკურ უბნებს. გუშინ „წესრიგის დამყარების“ ოპერაციათა დროს დააპატიმრეს 30-ზე მეტი კაცი. პროტესტანტ ექსტრემისტთა ახალგაზრდული ბანდები კვლავ თარეშობენ კათოლიკურ გეტოებში, ცეცხლს უკიდებენ ბარიკადებს, ავტომანქანებს, საცხოვრებელ სახლებს. ხულიგანთა ჯგუფმა ქვა და ბოთლი დაუშინა ბავშვებით სავსე სკოლის ავტობუსს, რამდენიმე ბავშვი დაშავდა.

ქალაქის სხვადასხვა რაიონში აფეთქებების შედეგად ცეცხლი გაუჩნდა რამდენიმე ათეულ საცხოვრებელ სახლს, სახელმწიფო დაწესებულების რამდენიმე შენობას, კაფეს, ოცზე მეტ სატვირთო ავტომანქანას.

19 ოქტომბერი. (საკდესი). ლონდონდერში გაიმართა ქალთა მასობრივი დემონსტრაცია. ისინი მოითხოვდნენ ახალგაზრდა ქალების განთავისუფლებას, რომლებიც ინგლისელმა ჯარისკაცებმა დააპატიმრეს იმის გამო, რომ „მათზე ეჭვი მიიტანეს ირლანდიის რესპუბლიკური არმიისადმი სიმპათიებში“. დემონსტრანტთა წინაალმდეგ ჯარისკაცებმა გამოიყენეს რეზინის ტყვიები და „სი-ეს“ გაზი.

ლონდონის გაზეთების უმრავლესობა, განმარტავს რა ჩრდილოეთ ირლანდიის ამბებს, აღიარებს, რომ პროვინციაში ვითარება ახლა უაღრესად გამწვავებულია.

ლონდონი

გრძელდება შეტაკებანი

19 ოქტომბერი. (საკდესი). ლონდონში ბრძოლა გაგრძელდა ირლანდიელ ნაციონალისტებსა და ინგლისელ ჯარისკაცებს შორის. ბრძოლა ორ საათს გაგრძელდა. ინგლისელ ჯარისკაცებს ავტომატებიდან ესროდნენ ბანდიტებს, ბანდიტებს ბენზინის ბომბებს ესროდნენ ჯარისკაცებს. ბრძოლის ადგილზე ოცამდე ადამიანი დაიჭრა. ინგლისელ ჯარისკაცებს ბანდიტებმა ბენზინის ბომბებით ავტომანქანა ცეცხლი წაუკიდეს. ინგლისელ ჯარისკაცებს ბანდიტებმა

ვემსახურეთ პარტიასა და ხალხს

„საბჭოთა კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად ქართული კინოს მუშაკთა ამოცანებზე დიდი სჯა-ბაასი გაიმართა 18 ოქტომბერს თბილისში მოწვეულ რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის გაფართოებულ პლენუმზე.

მომხსენებელმა — ამ კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. დოლიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს კინემატოგრაფისტები მთლიანად უპირველ მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, მიზნად აქვთ იგი კინოხელოვნებაში იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეთა, ამოლიტიკურობის და უფერულობის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამად.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი

უკანასკნელ წლებში კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ გადაიღო ბევრი საინტერესო სურათი, რომლებიც აღინიშნა საერთაშორისო და საკავშირო ჯილდოებით და მაყურებელთა მაღალი შეფასება დამსახურეს. მაგრამ სამართლიანია ისიც, რომ ამავე პერიოდში ქართველ კინემატოგრაფისტებს არ შეუქმნიათ რამდენადმე მნიშვნელოვანი ნაწარმოებები რევოლუციურ თემატიკაზე, ფილმები, რომლებიც განავრცობდნენ ეკრანის ქართველ ოსტატთა ისეთი შესანიშნავი კინოლენტების ტრადიციებს, როგორიც არის „ილისო“, „უკანასკნელი მასკარადი“, „არსენა“, „დარიკო“ და სხვ.

პლენუმის მონაწილეებმა გამოთქვეს ერთსულოვანი აზრი, რომ ეკრანზე ჯერ კიდევ იშვიათად ვხედავთ გმირებს, რომლებიც მიგვიზიდავდნენ მტკიცე ხასიათით, დიდი ადამიანური მომხიბვლელობით, კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულებით. თითქმის არა გვაქვს ფილმები, რომლებიც მკაფიოდ ასახავენ საბჭოთა მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის სულიერ სამყაროსა და მაღალ მასწრაფებებს.

ქართული კინოს შემდგომი აყვავებისათვის ზრუნვით იყო გამსჭვალული კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორის მოადგილის ვ. გახოკიძის, კინორეჟისორების თ. ფალავანდიშვილის, შ. მანაგაძისა და რ. ჩხეიძის, კინოდრამატურგების კ. გოგოძის, რ. თაბუკაშვილისა და მ. ელიოზიშვილის, კინომცოდნე ო. თაბუკაშვილის, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნის, პოეტ ი. ნონეშვილის, დუბლიაჟის რეჟისორის კ. მიქაბერიძის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის შ. სალარიძის გამოსვლები.

პლენუმის მონაწილეთა მიერ მიღებული რეზოლუცია შეიცავს კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ქართული კინემატოგრაფიის შემდგომ განვითარებას.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე გ. ბედინეიშვილი. (საქინფორმი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ ᲓᲦᲔᲡ. ᲐᲚ. ᲤᲣᲚᲣᲩᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲙᲕᲔᲠᲨᲘ. — Გ. ᲑᲔᲠᲡᲐᲛᲘᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ცამეტი ქალიშვილი და ერთი ვაჟი

ᲪᲐᲛᲔᲢᲘ ქალიშვილი და ერთი ვაჟი, ასეთია ბათუმის კულტურის სახლის ეოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „იალქნის“ შემადგენლობა. ბათუმელი სტუდენტები და უფროსკლასელები, რომელთაგან ინჟინერი ვახტანგ გორდაძე ხელმძღვანელობს, ჩინებულად მღერიან, ცეკვავენ, უკრავენ.

შემოქმედებითი კოლექტივის რეპერტუარშია თანამედროვე საერთაშორისო მელოდიები, ქართული ხალხური სიმღერები. „იალქნის“ ხელოვნებას რესპუბლიკის ახალგაზრდობა ამ ორი ფრთის წინათ გაიცნო. ეს ვადა, რა თქმა უნდა, დიდი როდია იმისათვის, რომ თავი გამოიჩინონ სხვა მრავალრიცხოვან პოპულარულ ახალგაზრდულ კოლექტივებს შორის, შექმნა საკუთარი რეპერტუარი და მოიპოვო გამბარჯვება რესპუბლიკურ სატელევიზიო ტურნირში „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“. სწორედ ამ კონკურსიდან, უფრო ზუსტად მისთვის მზადების დღეებიდან, დაიწყო არსებობა ანსამბლმა. ანსამბლში გაჩნდნენ საკუთარი კომპოზიტორები და პოეტები. წარმატებით გამოდიან ვოკალისტები ნ. ჯახუტაშვილი, მ. ხალვაში, ნ. ვეკუანია, ტ. ჩიგოვანი. მშვენივრად უკრავს დასარტყმელ ინსტრუმენტებს 17 წლის ნ. ფოცხიშვილი. ქალიშვილს კარგი ხმა აქვთ, თავისუფლად, ლამაზად ცეკვავენ.

„იალქნის“ საინტერესო გეგმები აქვს, უწინარეს ყოვლისა ეს არის გასტროლები აჭარის რაიონებში ახალი პროგრამით, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება.

(საქინფორმი).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

მოვუსმენთ ზინაიდა პალის

ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ორ სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებს რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ცნობილი მომღერალი ზინაიდა პალი.

იტალიის შემდეგ ბულგარეთი და რუმინეთი სამართლიანად ითვლებიან მომღერლების სამშობლოდ. ნიკოლოს ხერლია, ელენე ჩერნი, იონ პისო და ჩვენი სტუმარი ზინაიდა პალი ბუქარესტის საოპერო თეატრის წამყვანი სოლისტები არიან. მათი სახელები ფართოდ არის ცნობილი მსოფლიოს მუსიკალურ სამყაროში. ხელოვნების აკადემიის და ბუქარესტის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ზინაიდა პალიმ საგანგებო სპექტაკლად „აიდა“ აირჩია და ამწერლისს წარმატებით შესრულების შემდეგ იგი თეატრში მიიღეს. სულ მოკლე დროში ზ. პალიმ ბუქარესტის სცენაზე იმღერა ყველა წამყვანი პარტია. ნიჭმა, შრომამ, ახლის ძიებამ მომღერალს დიდი სახელი მოუტანა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲖᲘᲜᲐᲘᲓᲐ ᲞᲐᲚᲘᲡ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘ

ᲛᲔᲗᲠᲘ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘ

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘ

ᲛᲔᲠᲕ